მეწარმეობის თავისებურებები და ეფექტიანობის ამაღლების საკითხები საბაზრო ეკონომიკის პირობებში (თეორიული ასპექტები)

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.03.03

ბესარიონ ნაყოფია
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი; საქართველოს
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი
https://orcid.org/0000-0001-9017-3658
E-mail: besarionakopia@yahoo.com

რეზიუმე

ევროკავშირში ქვეყნის ინტეგრაციის ამოცანებიდან უნდა გამომდინარეობდეს საბაზრო ეკონომიკის განმტკიცება. ამიტომ ქვეყანამ ძირითადი ყურადღება ევროკავშირთან ეკონომიკური კავშირების ყოველმხრივ განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს.

ნებისმიერ სახელმწიფოში მოსახლეობის შემოსავლების დონე დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის სიდიდეზე. დღევანდელ პირობებში ეკონომიკური ზრდა მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ტენდენციებით უნდა განვსაზღვროთ. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის, მეწარმეობის ეფექტიანობის, სავალუტო უსაფრთხოების თუ საგადასახდელო ბალანსის ასპექტები თანამედროვე მაკროეკონომიკური პოლიტიკის საკვანძო საკითხად გადაიქცა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა, ეფექტიანობის ამაღლება, მეწარმეობა და მისი თავისებურებები, ინოვაციები, ცხოვრების დონე, ინვესტიცია ძირითად აქტივებში, სავალუტო უსაფრთხოება.

ციტირებისთვის: ნაყოფია ბ., (2023) მეწარმეობის თავისებურებები და ეფექტიანობის ამაღლების საკითხები საბაზრო ეკონომიკის პირობებში (თეორიული ასპექტები), ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 16 (3), 19-24. Retrieved from https://ojs.b-k.ge/index.php/bk.

ENTREPRENEURSHIP PARTICULARITIES AND EFFICIENCY RAISING TASKS IN MARKET ECONOMIC CONDITIONS (THEORETICAL ASPECTS)

Besarion Nakopia,
professor of Tbilisi Humanitarian University,
a member of Economical Science Academy of Georgia
https://orcid.org/0000-0001-9017-3658
E-mail: *besarionakopia@yahoo.com*

RESUME

From EU country, integration problems should be followed consolidation of market economic. Consequently, the country should assist to pay main attention to development of economical connections in all aspects.

Income level of any state population depends on the country's economic size. In nowadays conditions, economical raising in the world should be determined with current globalization tendencies. Correspondingly, economical raising, entrepreneur efficiency, currency security or payment balance aspects became key task for macroeconomic policy.

Key words: economic growth, increasing efficiency, entrepreneurship and its features, innovations, standard of living, investment in fixed assets, currency security.

For citation: Nakofia B., 2023, Peculiarities of entrepreneurship and issues of increasing efficiency in market economy conditions (theoretical aspects), journal "Business and Legislation", 16 (3), 19-24. Retrieved from https://ojs.b-k.ge/index.php/bk

ძირითადი ტექსტი

საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმირება უაღრესად რთულ პირობებში მიმდინარეობს. ერთის მხრივ, ადამიანის მოთხოვნილებები სისტემატურად მზარდი და ცვალებადია. მაშინ, როცა ამ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებისათვის საჭირო რესურსები მკაცრად განსაზღვრულია, ასეთ ვითარებაში ადამიანი სისტემატურად ცდილობს და ფიქრობს იმაზე, თუ როგორ იპოვოს გამოსავალი, რათა უმცირესი დანახარჯებით იარსებოს და მიიღოს მაქსიმალური შედეგი.

ეკონომიკური აზროვნება-ეკონომიკური კვლევისა და საქმიანობის ელემენტარული წესების ცოდნა დღეს აუცილებელია მეწარმეებისათვის. ასეთი ცოდნის საფუძველზე შესაძლებელი ხდება სამეწარმეო საქმიანობის ფორმების შერჩევა არა მხოლოდ სადღეისო, არამედ სამომავლო პერსპექტივისთვისაც.

ევროკავშირში ქვეყნის ინტეგრაციის ამოცანებიდან უნდა გამომდინარეობდეს საბაზრო ეკონომიკის განმტკიცება. ამიტომ ქვეყანამ ძირითადი ყურადღება ევროკავშირთან ეკონომიკური კავშირების ყოველმხრივ განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს. ამ მიზნით გარდა საზღვარგარეთის ინვესტიციებისა, სტრატეგიულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს ქვეყნის საკუთარი ბუნებრივ-ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის ამოქმედება.

ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებები წარმოადგენს ეკონომიკური რეფორმის მიზანმიმართული პროცესის შემადგენელ ნაწილს. იგი გულისხმობს სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის გარდაქმნას და მოიცავს საბაზო დარგებს-მრეწველობას, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას, სოფლის მეურნეობას, საბანკო-საფინანსო სფეროს და სხვა დარგებს.

ქვეყანა, სადაც ეკონომიკური რეფორმები მიმდინარეობს, მნიშვნელოვან სირთულეებს განიცდის. ამდენად, ხელისუფლებამ მოქნილი სოციალური ღონისძიებები უნდა განახორციელოს. საჭიროებისამებრ დასაშვებად უნდა იქნას მიჩნეული კომპრომისები, რაც უზრუნველყოფს სოციალური აფეთქების თავიდან აცილებას. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ პოპულისტური მოქმედებები შეიძლება კიდევ უფრო ძვირი დაუჯდეს ქვეყანას და გახანგრძლივდეს რეფორმები.

ასეთ ვითარებაში, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მაკოორდინირებელი როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სამართლიანობის დამყარების საქმეში.

ეკონომიკური აზროვნება მეწარმისათვის ყოველდღიური საქმიანობის საფუძველთა საფუძველია. მას მეწარმეებისათვის გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა. ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების კანონზომიერება მეწარმეს საშუალებას აძლევს სწორად განსაზღვროს ვთქვათ, ინფლაციის შედეგები, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება თავისი სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის და ამ გზით ეძლევა შესაძლებლობა კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვებისათვის.

ეკონომიკური აზროვნება ეხმარება მეწარმეს უკეთესად მართოს თავისი საწარმო, ეფექტიანად გამოიყენოს ფინანსური, შრომითი და მატერიალური რესურსები, გადაწყვიტოს თავისი საწარმოს პრობლემები არა მხოლოდ ინდივიდუალური პოზიციიდან, არამედ საზოგადოებრივი თვალსაზრისის გათვალისწინებითაც. საქონლის წარმოება (მომსახურება), გაცვლა და მოხმარება განიხილება არა მხოლოდ საბანკო ანგარიშის პოზიციიდან, არა მხოლოდ ადამიანის ინტერესებიდან, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესებიდან. ბიზნესის სამყარო იზოლირებული როდია, იგი საზოგადოებრივი სამყაროს შემადგენელია და ამრიგად, ბიზნესისათვის სულერთი როდია როგორ ვითარდება მთელი ეკონომიკური სისტემა, რომელსაც გარკვეული მიზნები გააჩნია.

საზოგადოების ეკონომიკური მიზნები შეიძლება მოკლედ ასე ჩამოყალიბდეს:

პირველი - ეკონომიკური ზრდის განხორციელება: ამ მიზნის განხორციელება გულისხმობს უფრო მეტი რაოდენობის და მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებას(მომსახურებას). უბრალოდ რომ ვთქვათ, საზოგადოებას სურს უკეთესი ცხოვრება;

მეორე - სრული დასაქმება: ყველას უნდა შეეძლოს თავისი სურვილისა და შესაძლებლობის ფარგლებში მიიღოს შესაბამისი სამუშაო. ყოველთვის სრულად იყოს დასაქმებული;

მესამე - ეკონომიკური ეფექტიანობა: ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭიროა შეზღუდული რესურსების პირობებში მიღწეული იქნას დანახარჯების მინიმიზაცია და უკუგების მაქსიმიზაცია;

მეოთხე - ფასების სიმყარე: როგორც ფასების მკვეთრი ზრდა, ასევე მისი დაცემა, ანუ როგორც ინფლაცია, ისე დეფლაცია მკვეთრად აუარესებს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

მეხუთე - ეკონომიკური თავისუფლება: ამ მიზნის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველგვარი საწარმოს ხელმძღვანელი, ყველა მუშაკი და მომხმარებელი თავისუფალი უნდა იყოს თავისი საქმიანობის არჩევანში. ამასთან, თავისუფლება ხორციელდება კანონების დაცვის პირობებში.

მეექვსე - სამართლიანობა შემოსავლის განაწილებაში: ქვეყნის არც ერთი მოქალაქე არ უნდა გაღატაკდეს მაშინ, როცა მეორე სიმდიდრეში ცურავს.

მეშვიდე - ეკონომიკური უზრუნველყოფა: ქვეყანამ უნდა შეძლოს ქრონიკული ავადმყოფების, ინვალიდების, შრომისუნარმოკლებული ადამიანების საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფა, რომელთაც არ გააჩნიათ ცხოვრებისეული პირობები.

მერვე - ქვეყნის ეკონომიკა უნდა ესწრაფოდეს საერთაშორისო ვაჭრობის ბალანსირებისათვის, იმისათვის, რომ ქვეყანას არა მარტო შემოჰქონდეს საქონელი საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, არამედ გაჰქონდეს თავისი საქონელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე. თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ევროკავშირის ქვეყნების, ამერიკის ეკონომიკის განვითარების დონეს, აშკარაა ე.წ. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის კრიტიკული ზღვარის არსებობა, რაც გულისხმობს დანაზოგებისა თუ ინვესტიციების ისეთი დონის მიღწევას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ეკონომიკის სტაბილური ზრდა და ცხოვრების

დონის შედარებითი ამაღლება. სწორედ ამისთვის არის საჭირო სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, თუმცა, აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს საკმაოდ ხანგრძლივ და რთულ პროცესთან არის დაკავშირებული.

საბაზრო ეკონომიკაში მეწარმეობას დიდი მისია აკისრია. თუ მასში დამკვიდრებული წესრიგით ბაზარი ბრძანების როლს თამაშობს და მომხმარებელთა სახელით განკარგულებებს გასცემს იმის შესახებ, თუ რომელი დოვლათი უნდა იწარმოოს და რა რაოდენობით, ამ განკარგულების აღსრულების ფუნქციას მეწარმე ასრულებს. ამასთან, მას საბაზრო ეკონომიკაში ქვეყნის სტაბილურობაში, კეთილდღეობის ამაღლებაში შემდეგი ფუნქციები აკისრია: როგორც საკუთარი, ისე სხვისი წარმოების ფაქტორების გამოყენებით ინდივიდუალური და საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება, წარმოების ფაქტორთა მესაკუთრეების უზრუნველყოფა შესაბამისი შემოსავლებით; მოსახლეობის დასაქმება და მათი ცხოვრების დონის ამაღლება; სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებით; ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

არანაკლები ყურადღება უნდა დაეთმოს სტრუქტურულ ძვრებს რეალურ ეკონომიკაში, რაც ძირითადად გამოიხატება თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვითა თუ ინოვაციური და პოლიტიკური სექტორების სწრაფ განვითარებასა და მათი საექსპორტო პოტენციალის ამაღლებაში. საბაზრო მექანიზმის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელ პირობას თავისუფალი კონკურენციის დაცვა შეადგენს, რომლის შეზღუდვის პირდაპირი შედეგი საბაზრო მექანიზმის რღვევაა აქედან გამომდინარე უარყოფითი შედეგებით.

სამეწარმეო საქმიანობის მიზნები, მეწარმის მოთხოვნილებათა პრიორიტეტულობის შესაბამისად შემდეგი თანმიმდევრობით დალაგდება: მაქსიმალური მოგების მიღება; პირადი კეთილდღეობა და ქონების დაგროვება; სამეწარმეო საქმიანობის მასშტაბების გაფართოება და სტაბილური განვითარება; საზოგადოებრივი აღიარება.

თანამედროვე მსოფლიო განსაკუთრებულია იმ მხრივ, რომ ინდუსტრიული ერა თანდათანობით ინფორმაციულ ერაში გადადის; უაღრესად სწრაფი განვითარების კვალობაზე მნიშვნელოვნად გართულებულია წარმოებითი ურთიერთობა. ასეთი ვითარება განაპირობებს საშუამავლო საქმიანობის-ინფორმაციის მოპოვებისა და გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობას. ასევე აღნიშნული იმაზე მიგვანიშნებს, რომ როგორც მატერიალური დოვლათის წარმოება,ასევე მომსახურება საზოგადოების ეკონომიკური მოვლენების ობიექტად უნდა მივიჩნიოთ. წარმოება, გაცვლა და მოხმარება ის ეკონომიკური მოვლენებია, რომლებიც სამეურნეო სუბიექტების მოქმედების შედეგია და სპონტანურად როდი ვითარდებოდა. თავის მხრივ, სამეურნეო სუბიექტები განაპირობებენ საზოგადოების წინსვლას, ადამიანი თვითონაა სამეურნეო სუბიექტი, რომელიც ქმნის, ცვლის და მოიხმარს საარსებო დოვლათს. თუმცა სამეურნეო სუბიექტის განკერძოებულად განხილვა მიუღებელია. ინდუსტრიული ეკონომიკისათვის საწარმო, როგორც სისტემა-ადამიანთა ერთობლიობა, გაცილებით უფრო ახორციელებს სამეურნეო სუბიექტის ფუნქციას, ვიდრე თითოეული ინდივიდი ცალ-ცალკე. კარგავს რა სამეურნეო ინდივიდუალობას, პიროვნება ფაქტიურად წარმოების ფაქტორად გვევლინება.

თანამედროვე საზოგადოების თავისებურებაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ ამჯერად სახელმწიფო თვით გვევლინება სამეურნეო სუბიექტად. იგი ეკონომიკურ ურთიერთობაში შედის არა მარტო ქვეყნის შიგნით ფუნქციონირებად მრავალრიცხოვან საწარმოებთან-ეკონომიკურ სუბიექტებთან, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებთან და მათ საწარმოებთან. ამდენად, თანამედროვე ეკონომიკაში სახელმწიფო განიხილება, როგორც წარმოების ერთ-ერთი ფაქტორი.

სამეურნეო სუბიექტების რანგში გვევლინება ისეთი გლობალური მოვლენებიც, როგორიცაა გარემოს გაჭუჭყიანებისა და რესურსების საყოველთაო დეგრადაციისა და ფლანგვის ფაქტორები. აღნიშნული მოვლენები, რომელიც ბუნებრივი გარემოს გავლენით ყალიბდება, მართალია უშუალოდ დაკავშირებული არ არის ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობასთან, მაგრამ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საარსებო დოვლათის შექმნის პროცესებზე, გარკვეულწილად განაპირობებს ამ უკანასკნელის სამომხმარებლო თვისებებს.

ეკონომიკური მოვლენები, დიალექტიკური ბუნებიდან გამომდინარე, მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან და ურთიერთ განპირობებულნი არიან. ფართო გაგებით ეკონომიკურ მექანიზმებს განსაზღვრავენ, როგორც სხვადასხვა ეკონომიკურ მოვლენათა შორის ბუნებრივად წარმოშობილ აუცილებელ ურთიერთკავშირს. ეკონომიკური ანალიზის შედეგებში ასახვას პოულობს, როგორც შედარებით მარტივი ეკონომიკური მექანიზმების, ასევე ეკონომიკური კანონების მოქმედება. ცხადია, ეკონომიკური ანალიზის ფუნქცია ეკონომიკურ მოვლენათა შორის არსებული ურთიერთობის ბუნების ჩამოყალიბებით არ იფარგლება, იგი მოწოდებულია განსაზღვროს ეკონომიკური ზრდის პირობები და მიმართულებანი. ეკონომიკური მოვლენები, რომელიც განპირობებულია მათი, ასე ვთქვათ ამძრავი მექანიზმებითა და კანონებით, სიცარიელეში როდი მიმდინარეობს, არამედ ყალიბდება და ვითარდება სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების მიერ მიღებული კანონების დემოკრატიულ საწყისებზე, საჯაროობის პირობებში ჩამოყალიბებული კანონმდებლობისა და დადგენილი კერძო წესების პირობებში. ეს გარემოება ყველა ბიზნესმენმა უნდა გაითვალისწინოს. ასეთ საფუძველზე ყალიბდება ქვეყნის ეკონომიკური რეჟიმი, რომელიც მოიცავს სახელმწიფო კანონმდებლობას, კოოპერაციულ სამართლებრივ ნორმებს, შრომისა და კაპიტალის შეერთების ფორმებს. ეს უკანასკნელი თავის მხრივ განსაზღვრავს შეღავათიან საგადასახადო სისტემას და ა.შ. აღნიშნული იურიდიული და ინსტიტუციური ბაზა განპირობებულია ქვეყნის გეოგრაფიული გარემოთი. ტექნიკური და იმ ფსიქოლოგიური ეროვნული ხასიათის მოვლენებით, რომელიც მეტ-ნაკლებად გავლენას ახდენს ადამიანთა საქმიანობის აქტივობაზე. ასეთი შეფასების საფუძველზე ჩვენ მივდივართ ეკონომიკური სისტემის ცნების განსაზღვრამდე. განსხვავებული ეკონომიკური რეჟიმის პირობებში ერთი და იგივე ეკონომიკური სისტემა შესაძლოა განსხვავებუ-

ლად ფუნქციონირებდეს. ეკონომიკური მეცნიერების შემეცნებაში ეკონომიკური მექანიზმის კატეგორიის ადგილის განსაზღვრისათვის საჭიროა ეკონომიკური დოქტრინის ცნების განსაზღვრაც. აღნიშნული ცნების განსაზღვრაში მეცნიერ ეკონომისტთა აზრი საკმაოდ განსხვავებულია იმ მარტივ გასაგებ გარემოებათა გამო, რომ თვით ეკონომიკური დოქტრინის არსი ვერ თავსდება მხოლოდ ეკონომიკური კატეგორიის ფარგლებში. ამა თუ იმ ეკონომიკური დოქტრინის მომხრეებიც პრაქტიკული ეკონომიკური რეკომენდაციის ავტორად გვევლინებიან, თუმცა, როგორც იტყვიან, მათ უკან დგას არა მარტო ეკონომიკური მეცნიერება, არამედ გარკვეული ეკონომიკური პოლიტიკა, ფსიქოლოგიური და მსგავსი სხვა მიზნები.

როცა ერთი რომელიმე ეკონომიკური მოვლენა განაპირობებს სხვა მოვლენის გარკვეულ თანმიმდევრობას ისე, რომ ეს უკანასკნელი არ საჭიროებს რაიმე დამატებით იმპულსს. ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ეკონომიკური მექანიზმების არსებობაზე, მის მულტიპლიკატორულ ბუნებაზე. ეკონომიკური მოვლენების თანმიმდევრობა იმას ნიშნავს, რომ მისი შემეცნება შეიძლება მუდმივი დაკვირვების მეშვეობით. მსგავსი ანალიზი ღირებულებით შეფასებას არ ითხოვს. თუმცა, არ გამორიცხავს ეკონომიკური მექანიზმების ფუნქციონირების პირობებსა და გარემოებათა ზუსტი ანალიზის საჭიროებას.

აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, ეკონომიკური მექანიზმის ფუნქციონირების შესაძლებლობის განსაზღვრისათვის საჭიროა იმ კონკრეტული პირობების აღრიცხვა, რომელშიაც მოქმედებენ ეს მექანიზმები.

ეკონომიკური კანონების მსგავსად, ეკონომიკური მექანიზმები ობიექტური ხასიათის მატარებელია. თუმცა, დიალექტიკური შემეცნების თვალსაზრისით, გამორიცხული არ არის გარე ფაქტორების ზეგავლენა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური მექანიზმების ოპტიმალური ფუნქციონირების განსაზღვრისათვის საჭიროა მისი მოქმედების ზუსტი გამოკვლევა. დაკვირვების პროცესში გამოყენებული უნდა იქნას ლოგიკური მოსაზრებები და ამ საფუძველზე მიღებული გაანგარიშებები.

განსჯის კვალობაზე შესაძლებელია ეკონომიკური მოვლენების განვითარების პროგნოზირება, ვთქვათ, საწყისი წონასწორობის პირობებში დამატებითი ყიდვისუნარიანობის ზრდა განაპირობებს ქვეყნის საშინაო ბაზარზე დამატებითი ყიდვისა და იმპორტის გადიდებას. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს სამამულო საქონლის ფასის მატებას. იგივე ლოგიკა გვკარნახობს, რომ ასეთ შემთხვევაში დამუხრუჭდება ექსპორტი. ამ ჯაჭვის შედეგები გამოიწვევს საგადასახადო ბალანსის დეფიციტის ზრდას

და განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკის დისბალანსს.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გარკვეული სახის ეკონომიკური მექანიზმები შეიძლება შემუშავებულ იქნას ლოგიკური წყობის საფუძველზე.

მაღალი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, სახელმწიფოს როლი და ადგილი განსაკუთრებულია, რადგან სწორედ მან უნდა შეიმუშაოს ის გრძელვადიანი პროგრამები, რომლის მიზანიც იქნება გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი იქნება მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება.შემცირდება ქონებრივი დიფერენციაცია, გაიზრდება საშუალო ფენა, რომელიც გახდება საზოგადოების დიდი ნაწილი, ჩამოყალიბდება სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც იქნება ადამიანის უფლებებისა თუ ძირითადი თავისუფლების გარანტი.

აღნიშნული პრობლემა შეიძლება გადაწყდეს თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვით და ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის გზით. გარდამავალ პერიოდში ქვეყნების სასტარტო პირობები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, რაც შეიძლება გამოხატული იყოს მაკროეკონომიკური დაუბალანსებლობის ხარისხით. ეს უკანასკნელი გამოხატულებას პოულობს საბიუჯეტო და საგარეო ვაჭრობის დეფიციტში, საგარეო ვალის ტვირთის სიმძიმეში, შეზღუდული სავალუტო რეზერვებისა თუ სახელმწიფო საწარმოებში ზარალის არსებობაში.

ეკონომიკური პროცესები-მოვლენები განხილული უნდა იქნას როგორც სტატიკაში, ისე დინამიკაში. ცხადია, ასეთი დაყოფა პირობითია, და ამდენად, პირობითია ისიც, რომ პირველ შემთხვევაში საჭიროა დროის ფაქტორის გათვალისწინება, ხოლო მეორე შემთხვევაში შესაძლოა დროს არ ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუმცა დროის ფაქტორი მეტ-ნაკლებად გავლენას ახდენს ყველა ეკონომიკურ მოვლენებზე. დროის ფაქტორი გასათვალისწინებელია მაშინაც, როცა საქმე ეხება ეკონომიკური მოვლენების განსხვავებულ ხანგრძლივობას. ასე მაგალითად, ეკონომიკური კრიზისების დროს წარმოების ციკლის რღვევის მიზეზად, დროის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია პროცენტული განაკვეთის გამოთვლა, ფინანსური ანგარიშსწორება და სხვადასხვა ეკონომიკური პროგრამების შემუშავება. დროის ფაქტორის გავლენა განასხვავებს ეკონომიკურ მექანიზმებს ეკონომიკური კატეგორიებისაგან.

ეკონომიკური მექანიზმების მრავალრიცხოვნობა დღის წესრიგში აყენებს მათი კლასიფიკაციის საჭიროებას. თუ ჩავთვლით, რომ ეკონომიკური მექანიზმები წარმოადგენს ეკონომიკურ მოვლენათა ურთიერთკავშირს, რომელიც წარმოიშობა გარკვეულ სიტუაციაში საწყისი იმპულსის ზეგავლენით, მაშინ უდაოა, რომ მრავალი სხვადასხვა იმპულსების არსებობა განაპირობებს ეკონომიკურ მექანიზმთა სიმრავლეს. პრობლემად მიჩნეულია ეკონომიკური მექანიზმების კლასიფიკაციის კრიტერიუმების დადგენა. ყოველი ქვეყნის მოსახლეობას, მათ შორის ბიზნესმენებს, გააჩნიათ შემოსავალი, რომელსაც იყენებენ თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. იმავდროულად ისინი აწარმოებენ მატერიალურ დოვლათს და ეწევიან მომსახურებას, რომელსაც ყიდიან შემოსავლის მიღების მიზნით. ამჯერად ვეცდებით გავარკვიოთ ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოებისა და მოხმარების წონასწორობის დამყარებას.

კვლავწარმოების პროცესში წარმოება და მოხმარება ურთიერთკავშირში იმყოფებიან. მიუხედავად ამისა, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, როგორც ხასიათით, ასევე იმ პირობებით, რომელშიაც ეს პროცესი მიმდინარეობს.

წარმოებისა და მოხმარების აქტებს შორის აუცილე-

ბელია თანმიმდევრობა: შეიძლება მხოლოდ მოხმარება, რაც წარმოებულია. მოხმარების აქტი მიმდინარეობს წარმოების აქტის შემდგომ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოცემული პერიოდისათვის მოხმარების აქტი განსაზღვრულია იმავე პერიოდის წარმოების აქტის მოცულობით. თუმცა ეს ზღვარი შეიძლება გაფართოვდეს პერიოდის დასაწყისში არსებული სათადარიგო მარაგის გამოყენებით. წარმოება და მოხმარება განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შეცნობისა და პროგნოზირების დონის მხრივაც. მოცემული პერიოდის ფარგლებში წარმოების მოცულობის დადგენა ფრიად შესაძლებელია. მაგალითად, ქვანახშირის მოპოვების მოცულობა თვის განმავლობაში წინასწარ შეიძლება განისაზღვროს ტონის ფარგლებში. ამისათვის საჭიროა საწარმოო სიმძლავრეების მოცულობის განსაზღვრა და მათი მუშაობა.

რაც შეეხება მოთხოვნილებას, მის შესახებ ბევრი რამ უცნობია. რა თქმა უნდა, შესაძლებელია გავიანგარიშოთ მოხმარების საგნების ყიდვის საერთო მოცულობა. იგი ტოლია ყიდვის უნარიანი მოთხოვნისა. აგრეთვე შეიძლება განისაზღვროს იმ საქონელთა რეალური მოხმარება, რომლების საწყობში შენახვას არ ექვემდებარება(ელექტროენერგია, მომსახურება), მაგრამ არასდროს არაა ცნობილი მოხმარების სასურველო მოცულობა.

ამრიგად, თუ წარმოების მოცულობა სრულად ექვემდებარება გაზომვას და პროგნოზირებას, მოხმარების ანალიზის დროს მონაცემი შეიძლება მივიღოთ მხოლოდ სამომხმარებლო ხარჯების შესახებ და არა რეალური მოხმარების და მისი პოტენციალური მასშტაბების შესახებ.

გარდა ამისა, არსებობს განსხვავება ამ ორ პროცესზე ზემოქმედების მხრივაც. წარმოების პროცესზე გავლენა, ჩვეულებრივად ხორციელდება გარკვეული მატერიალური რესურსების გამოყენებით და, იგი სავსებით რეალურია. მოხმარებაზე ზემოქმედების საშუალებანი უმეტესწილად ფსიქოლოგიური ხასიათისაა და საკმაოდ შეზღუდულია, ამდენად, შედეგის განსაზღვრაც საკმაოდ ძნელია. და ბოლოს, წარმოებისა და მოხმარების პროცესში განსხვავებულ როლს ასრულებს დროის ფაქტორი. მოკლე დროის პერიოდში, როცა წარმოების პროცესში არავითარი ცვლილებები არ ხდება, მოხმარება არ რჩება ფიქსირებულ სიდიდედ, ვინაიდან იგი გვევლინება, როგორც ფასისა და შემოსავლის ფუნქცია. წარმოების პროგნოზირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მომავალი გადახდისუნარიანი მოხმარების ბაზაზე, თუმცა თვით გადახდისუნარიანი მოხმარება ხშირად არ მოიცავს არავითარ ელემენტს და ასახავს მხოლოდ ამ წუთიერ მომენტს.

განსხვავებულად ფასდება ის დროც, რომელიც იხარჯება წარმოებისა და მოხმარების პროცესში. წარმოებისათვის აუცილებელი სიმძლავრეების არსებობის პირობებში ტექნოლოგიური პროცესებისათვის ხანგრძლივობა ყოველთვის განსაზღვრულია. კონკრეტული საწარმოო სიმძლავრისათვის საჭირო დრო ყოველთვის ექვემდებარება პროგნოზირებას. მოხმარების დრო კი - გამომდინარე საქონლის მოხმარების ბუნებიდან, მერყეობს ნულიდან უსასრულობამდე. ეს განსხვავება ლაპარაკობს იმაზე, რომ წარმოებისა და მოხმარების წონასწორობის მექანიზმი მარტივი არაა და ამ შემთხვევაში ერთი რომელიმე მექანიზმის გამოყენებით ფონს ვერ გავალთ.

ფაქტიურად არსებობს ასეთი მექანიზმის ორი ტიპი: ერთი უზრუნველყოფს ერთი რომელიმე განსაზღვრული საქონლის წარმოებისა და მომხმარებლის წონასწორობას, ხოლო მეორე - საქონელთა წარმოებასა და მოხმარების წონასწორობას. კონკრეტული სახის საქონლის წარმოებისა და მოხმარების განონასწორება შესაძლებელია რაციონების მექანიზმის მეშვეობით.

რაციონების მექანიზმი იმაში მდგომარეობს, რომ მოცემული საქონლის მოხმარების მოცულობა ავტორიტარული გადაწყვეტილებით განისაზღვრება. მოხმარების მოცულობა ისეთნაირად განისაზღვრება, რომ მოხმარების მოთხოვნა სრულად შეესაბამებოდეს წარმოების მოცულობას, ასეთია წარმოებასა და მოხმარებას შორის წონასწორობის დამყარების მარტივი ხერხი. თუმცა, ამ მექანიზმების გარეგნულ სიმარტივეში იმალება საკმაოდ რთული პროცესები, რომლებიც პრაქტიკაში იჩენს თავს. რაციონების მექანიზმის ფუნქციონირება მოითხოვს აუცილებელ წონასწორობას წარმოებისა და მოხმარების მოცულობას შორის.

აქედან გამომდინარე, საჭიროა განისაზღვროს წარმოების მოცულობა, როცა საწყისი რეზერვი არ არსებობს, ან მისი სიდიდე ცნობილია, ან კიდევ, როცა საუბარია იმპორტირებაზე, ამის გაკეთება საკმაოდ ადვილია. როცა მოცემული სახის პროდუქციის წარმოება ხორციელდება ეროვნული საზღვრების ფარგლებში, მისი სიდიდე განისაზღვრება სტატისტიკური აღწერის საფუძველზე. ამ შემთხვევაში აღწერას უნდა დაექვემდებაროს ყველა მწარმოებელი, რომლებიც წარადგენენ დეკლარაციას. იგი მაქსიმალურად ზუსტი უნდა იყოს და დაექვემდებაროს კონტროლს. პრობლემის სირთულე დაკავშირებულია აგრეთვე არაერთგვაროვანი საქონლის წარმოებასთან. რაც შეეხება მოხმარებას, თითქოს რაციონირების პირობებში მოხმარების დაგეგმვა საკმაოდ მარტივია, თუ გვეცოდინება წარმოების მოცულობა და სტრუქტურა, მაგრამ მწარმოებელმა, თუ სურს დააკმაყოფილოს მომხმარებელი, უნდა იცოდეს, თუ რა ესაჭიროება მომხმარებელს. ამის გამო საჭიროა არსებული მოხმარების ანალიზი. თუმცა ეს მოთხოვნები და მის მიერ განპირობებული პოტენციური მოხმარება სულაც არ შეესაბამება რეალურ მოხმარებას. რაციონების პირობებში რეალური მოხმარება ნორმატივების დოკუმენტებით განისაზღვრება. თუ ნორმირებული განაწილება მოკლებულია იურიდიული ნორმების საფუძველს და განაწილება ხდება განაცხადების მიხედვით, მაშინ საკმარისია გავიანგარიშოთ შემოსული განაცხადების ჯამი და ამ გზით განისაზღვროს რეალური მოხმარების სიდიდე.როცა ნორმირებული განაწილება ხორციელდება მოხმარების საკონტროლო ციფრების დადგენით, ყველა მომხმარებლისათვის (საკითხი ეხება სასიცოცხლო საარსებო საქონელს)- ძირითადი ამოცანაა ამ ნორმების სწორად დადგენა. ნორმირების სხვადასხვა ხერხები არსებობს, მაგრამ მთავარია ის, რომ ნორმების დროს გამოვავლინოთ ღრმა ცოდნა და დავიცვათ სამართლიანობა. განაწილების სხვადასხვა ეტაპზე, დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, საჭირო ხდება ბიზნესმენის ინტერესების ხელოვნურად

დაკავშირება რაციონირების მექანიზმის ნორმალური ფუნქციონირების მექანიზმთან. თუმცა, როგორც ცნობილია, პროდუქტების უკმარისობის და ფასების ზრდის პირობებში ბიზნესმენებს ეშინიათ თავიანთი ფონდის გაუფასურებისა. ხარჯავენ რა თავიანთ რეზერვებს, მათ არა აქვთ საშუალება მისი შევსებისათვის და ამჩნევენ, რომ მათი რეალური ფასეულობა-საქონელი, თანდათან გამოიდევნება მათი ბალანსიდან მუდმივად გაუფასურებადი ფულადი სახსრების ხარჯზე. მიუხედავად იმისა, რომ რაციონირების მეთოდს გააჩნია პრობლემები განაწილების ბოლო სტადიაზე, რეზერვების შევსება თეორიულად განპირობებულია მისი პირვანდელი მასშტაბისა და სტრუქტურის ფარგლებში. თავის მხრივ, მრეწველობაში პროდუქციის წარმოება და მომხმარებელზე მიწოდება ცვალებადია. იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რაოდენობისა და რა რა სახის ნედლეულს ღებულობს. ასეთ შემთხვევაში, იმისთვის, რომ დაადგინონ ამა თუ იმ ბიზნესმენის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტიანობა, ზოგჯერ მიმართავენ ბალურ შეფასებას, ან თავად მრეწველი ახერხებს მომხმარებლის დაკმაყოფილებას. ამ პროცესს უკავშირებენ დაკრედიტების სისტემას, რაც საშუალებას იძლევა გარკვეულად ზემოწმედება მოახდინონ წარმოებისა და მოხმარების პროცესზე წარმოებასა და მოხმარებას შორის წონასწორობის დამყარება თავისუფალი ბაზრის პირობებში ეფუძნება მოთხოვნისა და მიწოდების კანონებს. ამ მექანიზმის შედეგები განსხვავებულია მოკლე დროისა და ხანგრძლივი პერიოდისათვის გათვალისწინებული გარიგებების შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, საჭიროა აღნიშნული საბაზრო მექანიზმის მოქმედება განხორციელებულ იქნას როგორც მოკლე დროის, ასევე ხანგრძლივი პერიოდის ინტერვალის გათვალისწინებით. ბაზარზე მყიდველთა მოთხოვნისა და გამყიდველთა მიწოდების საფუძველზე განისაზღვრება საქონლის ფასი, რომელსაც გააჩნია ორი თვისება: იგი ერთიანია და, ამავე დროს, შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს მაქსიმალური რაოდენობის გარიგებები. ეფექტიანობის ამაღლების საკითხის განხილვისას თუ ვიმსჯელებთ ზოგადი პრინციპებით, ძირითადი ყურადღება წარმოების დონეზე არის გადატანილი. ამ უკანასკნელის ძირითადი ეფექტიანობა განპირობებულია სახელმწიფოს საზოგადოებრივი საქონლით, რომელიც იზომება საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხით. როგორ უნდა გაიზომოს ეფექტიანობა? ამ კითხვაზე პასუხი ალბათ მაინც მთლიან შიდა პროდუქტში უნდა ვეძიოთ, ოღონდ განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საზომად შრომის მწარმოებლურობა უნდა მივიჩნიოთ. თუ დავეყრდნობით ეკონომიკის სტრუქტურული განვითარების მოდელებს, მთავარი მაინც ზრდის ფაქტორების სტრუქტურა, დაგროვებისა და მოხმარების, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობა ინვესტიციების სტრუქტურა არის. ეკონომიკური ზრდა ძირითადში მაინც ერთობლივი მოთხოვნით განისაზღვრება, რომელიც მოსახლეობის, მეწარმეების, სახელმწიფოს, კერძო ინვესტორებისა და ექსპორტიორების ხარჯებს მოიცავს. ძირითად როლს მაინც მოსახლეობის შემოსავლები განსაზღვრავს.

გარდა ზემოაღნიშნული რამდენიმე მიმართულებისა, უნდა გამოვყოთ ეკონომიკური ზრდის უთანასწორობა, ზრდის დაბალი ხარისხი და განვითარების დაბალი ინდექსი. განსაკუთრებული როლი ენიჭება ინტელექტუალურ კაპიტალს. სამწუხაროდ, დღევანდელ პირობებში შეფარდებითი ეკონომიკური ეკონომიკური სტაბილურობა გამოწვეული არის არა ეკონომიკაში მკვეთრი ცვლილებით, არამედ მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ეკონომიკური კონიუნქტურით. ეკონომიკური ზრდის განსაკუთრებულ შემაფერხებელ ფაქტორად დანაზოგებისა და ინვესტიციების სიმცირე უნდა მივიჩნიოთ. საქართველომ უნდა იპოვოს, შეიმუშაოს გარკვეული ტიპის მოდელები, რომლებიც უნდა ასახავდეს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან მოთხოვნებს.

დღევანდელ პირობებში ეკონომიკური ზრდა მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ტენდენციებით უნდა განვსაზღვროთ. ეკონომიკური ზრდის, შესაბამისად, სავალუტო უსაფრთხოებისა თუ საგადასახდელო ბალანსის ასპექტები თანამედროვე მაკროეკონომიკური პოლიტიკის საკვანძო საკითხად გადაიქცა. ინდუსტრიული თუ ტექნოლოგიური რევოლუციის პირობებში უნდა განისაზღვროს არა მარტო ის ეკონომიკური ფაქტორები, რომლითაც შესაძლებელი გახდება ეკონომიკის წონასწორობის უზრუნველყოფა, არამედ უნდა განხორციელდეს ეკონომიკური ზრდისა თუ სავალუტო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება.

თანამედროვე ეპოქა ცნობილია როგორც ეკონომიკური აზროვნების ერა.

ამდენად, ყოველგვარი სამეწარმეო საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს ეპოქისთვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის შესატყვისი ამოცანების გადაწყვეტას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაპავა ვ., ეკონომიკსი. მეთოდოლოგია და მეთოდიკა. თბილისი, 2020;

2. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბილისი, 2010;

3. ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 2012;

4. ხარშილაძე გიორგი, ეკონომიკური ზრდის ხარისხობრივი ასპექტები საქართველოში და მასზე მოქმედი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გავლენის ასპექტები. თბილისი, 2022;

5. ნაყოფია ბ. ბიზნესის საფუძვლები. თბილისი, 2010 წელი;

6. Papava V., 2022b. On the Main Challenges of the Architecture Transformation of the World Economy. Eurasia Review, March 31, https://www.eurasiareview.com/31032022-on-the-main-challenges-of-the-architecture-transformation-of-the-world-economy-oped.